<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მაისი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩისთვის მსახიობ მარინე თბილელის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, მახათას ქუჩას მიენიჭოს მსახიობ მარინე თბილელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ხიკის შესახვევი
კონსტანტინე
ბზიფის ქუჩა
მარტყოფის შესახვევი
მარტყოფის შესახვევი
კონსტანტინე ცოცანიძის ქუჩა
გიორგი ნერეთლის ქუჩა
მარტყოფის ქუჩა
იუსტინე აბულაძის ქუჩა
მახათას შესახვევი
ავლაბარის ქუჩა
ავლაბარის ქუჩა
ბორის ქუჩა
მარინე თბილელი
ბურჯანაძის ქუჩა
ალექსანდრე ფადოს ქუჩა
ირაკლი ფაღავას ქუჩა
ირაკლი ფაღავას ქუჩა
ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა
ქეთევან დედოფლის გაჩქარი
ქეთევან დედოფლის გაჩქარი
ხარიტონ ალფასის ქუჩა
ბაფიაურის ქუჩა
ახმეტის ქუჩა
ისანის ქუჩა
ისანის ქუჩა
ნოე ჟორდანიას სანაპირო
ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩა
გუთანის ქუჩა

მარინე თბილელი

(1920-2002)

თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი.

დაიბადა თელავში. დაამთავრა საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი 1940 წელს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასში. 1946 წლიდან კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი იყო. 1974 წლიდან კვლავ რუსთაველის თეატრშია. ახალგაზრდა მარინე დამბროვსკაიას აკაკი ვასაძემ დაანათლა გვარი - თბილელი. გამოირჩეოდა ჭეშმარიტი არტისტიზმით, სცენური მომხიბლელობით, მუსიკალურობით, პლასტიკურობითა და გარდასახვის უნარით; როლები: თეკლა ბატონიშვილი (ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“), ფლორელა (ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“) ლარისა (ნ. ოსტროვსკის „უმზითვო“), მარია ანტონოვნა (ნ. გოგოლის „რევიზორი“), კეკელა („ძველი ვოდევილები“), დარეჯანი (ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ მიხედვით), ნათელა (ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“), მილენინა (ა. გელოვანის „დასაწყისი“), იორკის მთავრის მეუღლე (უ. შექსპირის „რიჩარდ III“) და სხვ. 1955 წლიდან მოღვაწეობს კინოში. დაუვიწყარია მისი ბუბუსია (“აბეზარა“, 1955), ფატმანი („ბაში-აჩუკი“, 1956), მართა (“ქალის ტვირთი“, 1957), ანა („თხუნელა“, 1962), ალისა („თოჯინები იცინიან“, 1963), თაშნაური („ჩირიკი და ჩიკოტელა“, 1972), სკოლის დირექტორი („როცა აყვავდა ნუში“, 1972) და სხვ.; საინტერესო სახეები შექმნა სომხურ ფილმებში: როზალია („პატიოსნებისათვის, 1955, ერევნის კინოსტუდია), გოჰარი („დედის გული“, 1958), ზარუი („თორმეტი თანამგზავრი“, 1962) და სხვ. დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით. იყო ცნობილი რეჟისორის აკაკი დვალიშვილის მეუღლე, მსახიობ ბაია დვალიშვილის დედა. 1966 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

გარდაიცვალა 2002 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.